გილოცავთ დამდეგ 2012 წელს!

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14 2011 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

გია ჩალათაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„ძველი წელი _ წარსულს, ახალი წელი — ახალი საზრუნავით“

ბოლო სამი წელიწადი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის მთელი რიგი პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის თავდაუზოგავი მუშაობის პერიოდი იყო. აქედან, განსაკუთრებული დატვირთვა 2011 წელზე მოდის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ძირითადი პრიორიტეტის – ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე გადაიტანა მთელი ყურადღება. ხოდა, სათქმელი და საამაყო მართლაც ბევრი დაგროვდა. ტრადიციულად დეკემბრის ბოლო დღეებში, ანგარიშს აბარებს განვლილი წელი და ასპარეზს უთმობს ახალს – წარმატებების სურვილითა და სიახლეების მოლოდინით. დღეს გაზეთის ფურცლებზე სასაუბროდ **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი** ბატონი **გია ჩალათაშვილი** მოვიწვიეთ და ვთხოვეთ ესაუბრა 2011 წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაწეული მუშაობისა და ამასთან, იმ საკითხებზეც, რომელიც სამომავლოდ – 2012 წელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასიკეთოდ დაისახება.

– ბატონო გია, ის სამუშაოები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2011 წელს მიმდინარეობდა, მართალია ჩვენს თვალწინ ხდებოდა (ეს იყო გზების, სასმელი წყლის სისტემების, ქუჩების, ათეული წლების განმავლობაში პრობლემური ქვეითადმოსიარულეთათვის განკუთვნილი სავალი ბილიკების მოწესრიგება, მთელი რიგი შენობების სახურავების შეცვლა), მაგრამ, იქნებ ამჯერად სრული სიზუსტით გვითხრათ, რა მნიშვნელოვანი საქმეები გაკეთდა, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა მართლაც რომ სულმოუთქმელად ელოდა...

– ბოლო წლებია, რაც რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით მთელი რიგი პროექტები ხორციელდება სხვადასხვა ფონდების დაფინანსებით, მაგრამ, პარალელურად, არც თუ ნაკლები სამუშაოები განხორციელდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. ყველა პროექტის უპირველესი მიზანი ინფრასტრუქტურის იმ დონემდე განვითარებაა, რომ ყველა სოფელში იყოს ისეთივე სკოლა, საბავშვო ბაღი, საექიმო ამბულატორია, კულტურის ცენტრი, თუ სპორტული მოედანი, როგორიც ეს დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებშია. ამიტომ უპირველესად უნდა დამთავრდეს და მოწესრიგდეს ის პრობლემა, რომელიც თავად მოსახლეობისთვისაა ნომერ პირველ პრობლემად ქცეული, ხომ?!

ამიტომაც მთავარი აქცენტი აღებული იქნა სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებაზე თითქმის ყველა სოფელში. შეიძლება თითოეულ ოჯახს ინდივიდუალური ონკანის დაყენების საშუალება არ მიეცა ამჯერად, მაგრამ, იმ უბნებში, სადაც საერთოდ არ იყო სასმელი წყალი შეყვანილი, ან უკვე ამორტიზებული იყო სისტემა, ამოიცვალა და დაიდგა საუბნო ონკანები, მთელ რიგ სოფლებში დაიდგა და დამონტაჟდა ჭაბურღილები. უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი ცენტრალური გზიდან სოფლებამდე მისასვლელი გზების მხრივ. კარგად იცით, მთავარი გზიდან რამდენი კილომეტრის დაშორებით არის სოფლები: კაკაბეთი, ხაშმი, დიდი და პატარა ჩაილური. ახლა იქ მისვლის პრობლემა აღარ არის – ყველა ამ სოფლისკენ მოასფალტებული გზა მიდის.

გახსოვთ, რა დონის ნგრევა და ზარალი მოიტანა გაზაფხულისა და ზაფხულის წყალდიდობებმა. სტიქიამ არც მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები დაინდო და არც სოფლის გარესამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდები , მოიშალა სანიაღვრე არხების სისტემა, მაგრამ ამჯერადაც ქვეყნის მთავრობა გვერდით დაუდგა ჩვენს მუნიციპალიტეტს და უმოკლეს ვადაში აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში წარმატებით იქნა დასრულებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაფინანსებული სამუშაოები, რაზედაც ერთი მილიონ 640 000 ლარის სამუშაოები იყო გათვალისწინებული. სოფლის დახმარების პროგრამით მუნიციპალიტეტში 750 600 ლარის სამუშაოები შესრულდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 519 178 ლარი გაიხარჯა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის სარეაბილიტაციოდ, სასმელი წყლის მაგისტრალზე დაზიანებული სასმელი წყლის მილების, სასმელი წყლის სატუმბი სადგურის აღსადგენად, მოეწყო საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სახურავი. სულ 2011 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში 3 მილიონ 95 367 ლარის სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. სურათიც შესაბამისია, თუ ვისაუბრებთ, იმ საქმეებზე, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში და ქალაქში გაკეთდა. აი ისინიც:

ქალაქი საგარეჯო

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით, კახეთის გზატკეცილზე მდებარე კორპუსებში მცხოვრები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახებისთვის და ე.წ. „გაღმაუბნის“ დასახლების მოსახლეობისთვის, სასმელი წყლის ჭაბურღილებზე დამონტაჟდა წყალსაქაჩი ტუმბოები.

ჩატარდა დავით აღმაშენებლის, ჯაფარიძისა და სტალინის (ამჟამად ერეკლე მეორის) ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები.

ორმულად შეკეთდა დავით აღმაშენებლის, იმედის, რუსთაველის ქუჩები, მოასფალტდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეზო;

ლითონის ღობეებით კეთილმოეწყო რუსთაველის ქუჩის ტროტუარები.

მოეწყო შპს საგარეჯოს სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურ-ბაქტეროლოგიური კვლევითი ცენტრისა და ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო სამსახურის შენობების სახურავები.

სახელმწიფო დაფინანსებით შეკეთდა სტიქიისგან დაზიანებული რუსთაველის ქუჩა №243 სახლის სახურავი.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, მოწესრიგდა კოსტავას ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის ქსელი.

მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ტექნიკით, მოსალოდნელი წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად, ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა მდინარეებზე „თვალთხევი“ და „წიფლისხევი“.

გომბორის თემი

სოფლის განვითარების პროგრამით: განხორციელდა **სასმელი წყლის** ქსელის რეაბილიტაცია **გომბორსა და ასკილაურში**, მოიხრეშა შიდა სასოფლო გზები ვაშლიანსა და რუსიანში.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით: აღდგენილ იქნა სოფ. გომბორში სტიქიისგან დაზიანებული შიდასასოფლო გზის რამდენიმე მონაკვეთი და ბოგირი.

კოჭბანი

სოფლის განვითარების პროგრამით:

განხორციელდა **სასმელი წყლის ქსელის** სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლებში: კოჭბანში, ოთარაანთკარში, სასადილოსა და გორანაში. მოწესრიგდა შიდა სასოფლო გზა იკვლივ გორანაში.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდი:

კოჭბანში აღდგენილ იქნა სტიქიისგან დაზიანებული გზა და ბოგირი.

უჯარმის თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

გაგრძელება მე-2-მე-3 გვერდზე

გია ჩალათაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„ძველი წელი – წარსულს, ახალი წელი — ახალი საზრუნავით“

პარლამენტის თავმჯდომარე საგარეჯოელების რთველში

გაგრძელება

მუხროვანსა და პალდოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა **სასმელი წყლის** სათავე-ნაგებობებს. უჯარმაში შემოიღობა სასაფლაოს ტერიტორია.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით:

აღდგა **სასმელი წყლის** ცენტრალური მაგისტრალი და შიდასაუბნო ქსელი.

ხაშმი

სოფლის განვითარების პროგრამით:

რეაბილიტაცია ჩაუტარდა **სასმელი წყლის** ქსელს.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან:

განხორციელდა **სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია,** ე.წ „ლაფიანხევზე" აღდგა სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენი.

განხორციელდა კახეთის ცენტრალური მაგისტრალიდან სოფ. ხაშმში მისასვლელი – ასფალტსაფარიანი გზის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

პატარძეული

სოფლის განვითარების პროგრამით:

მოეწყო **სასმელი წყლის** ჭაბურღილი; სოფლის ცენტრში მდებარე სტადიონის ტერიტორიაზე არსებული სუბარტეზიულ **ჭაბურღილზე** დამონტაჟდა სასმელი წყლის ტუმბო და შეკეთდა 7 დაზიანებული საუბნო ჭაბურღილის ტუმბოები.

ადგილობრივი ბიუჯეტით მოეწყო №2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სახურავი.

წყაროსთავი

სოფლის განვითარების პროგრამით და საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდით:

მოხდა **სასმელი წყლის ქსელისა და სისტემის** რეაბილიტაცია ე.წ „ბეჟიტაანთ" და „კერატიანთ" უბნებში.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით:

სასმელი **წყლის მაგისტრალზე** აღდგენილია სასმელი წყლის დაზიანებული მილსადენი.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდით:

ე.წ „ბეჟიტაანთ უბანში" მოეწყო მინი-სპორტული მოედანი.

ნინოწმინდა

სოფლის განვითარების პროგრამით:

განხორციელდა სასმელი **წყლის ქსელების** რეაბილიტაცია.

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

შეკეთდა **სასმელი წყლის სისტემა**, წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მიმართულებით გაყვანილი იქნა **სასმელი წყლის ახალი სისტემა**, დამონტაჟდა სასმელი წყლის საუბნო ონკანები, შეიცვალა **დაზიანებული მონაკვეთები.**

გიორგიწმინდის თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

გიორგიწმინდაში ორმულად შეკეთდა ცენტრალური შიდასასოფლო გზა. ანთოკსა და მარიამჯვარში მოიხრეშა შიდა სასოფლო გზები.

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

მოეწყო **სასმელი წყლის** ჭაბურღილი; ე.წ. "ყაზიაანთ უბანში" შეიცვალა დაზიანებული სასმელი წყლის მილსადენი; მოწესრიგდა საუბნო ბოგირი; გაიწმინდა და აღდგა "ნავრობის ხევის" დაზიანებული კალაპოტი; შეძენილ იქნა დიზელის საწვავი „ანთოკის ხევის" ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან:

შეკეთდა გიორგიწმინდის **სასმელი წყლის** №1 სატუმბი სადგური, რომლიდანაც ხდება სოფელ უდაბნოს სასმელი წყლით მომარაგება.

თოხლიაური

სოფლის განვითარების პროგრამით:

ჩატარდა ამბულატორიის შენობის რემონტი: შეიცვალა შენობის სახურავი, ჩაისვა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა, გაილესა და შეიღება შიდა და გარე კედლები, დაიგო ლამინირებული იატაკი, მოეწყო შესასვლელი დერეფანი.

საგარეჯოს ახლადგახსნილი საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის პალატა

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან:

აღდგა **თოხლიაური-უდაბნოს სასმელი წყლის** დაზიანებული მაგისტრალი.

კრასნოგორკა

სოფლის განვითარების პროგრამით:

კრასნოგორკის მოსახლეობის მომსახურებისათვის შეძენილი იქნა მიკრო-ავტობუსი.

მანავის თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზისა და სარწყავი არხის რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე მანავის ხევის გამაგრებითი სამუშაოები. ზემო მანავის ხევზე მოეწყო რკინაბეტონის გადასასვლელი და საცალფეხო ხიდი; სოფ. ბურდიანში, შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, შეძენილ იქნა დიზელის საწვავი.

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც აღდგა ბურდიანისა და გორხანის **უბნის სასმელი წყლის** მაგისტრალები.

მოასფალტდა მანავის შიდა ცენტრალური სასოფლო გზა, შეძენილ იქნა დიზელის საწვავი 'მანავის ხევის" ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

დიდი ჩაილური

სოფლის განვითარების პროგრამით:

განხორციელდა სოფ. დიდ ჩაილურში არსებული **სანიაღვრე არხებისა** და **სასმელი წყლის შიდა ქსელების** რეაბილიტაცია.

პატარა ჩაილურში მოეწყო სანიაღვრე არხები.

კაკაბეთი

სოფლის განვითარების პროგრამით:

ჩატარდა **შიდა სასმელი წყლის ქსელების** სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოიხრეშა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზა.

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

შეკეთდა ე.წ **„დვრინის" სასმელი წყლის** მაგისტრალი.

ვერხვიანი

სოფლის განვითარების პროგრამით:

რეაბილიტირებულ **იქნა სასმელი წყლის** შიდა ქსელები, ე.წ. „კუდაანთ უბანში" დამონტაჟდა სასმელი წყლის 10 საუბნო ონკანი, შემოიღობა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა, მოწესრიგდა სანიაღვრე არხები.

ყანდაურა

სოფლის განვითარების პროგრამით:

განხორციელდა **შიდა სასმელი წყლის** ქსელების რეაბილიტაცია; ე.წ „გადასახედავის უბანში" ამოიცვალა **სასმელი წყლის** დაზიანებული მილსადენი.

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

აღდგა სოფ: ყანდაურისა და ზემო ყანდაურის სტიქიისაგან დაზიანებული საუბნო გზების პროფილი.

მოეწყო კალაპოტი და ბოგირი ე.წ „კალატოზიანთ ხევზე". აღდგენილ იქნა სოფ. ყანდაურის სტიქიით დაზიანებული სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები.

სოფლის განვითარების პროგრამით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით – ზემო ყანდაურაში შემოიღობა სასაფლაოს ტერიტორია.

ბადიაური

სოფლის განვითარების პროგრამით:

შემოიღობა სასაფლოს ტერიტორია, შეძენილ იქნა ნაგავმზიდი ავტომანქანა.

ნატანისაგან გაიწმინდა სოფ: ბადიაურისა და ,,ლაკბეს'' ხევები (სოფ.ბოგდანოვკის მონაკვეთი).

რეგიონალური განვითარების ფონდის დახმარებით:

სოფ. ბადიაურში მოწესრიგდა სტიქიის შედეგად გადავსებული ხევის კალაპოტი, აღდგა სასმელი წყლის სათავე ნაგებობა.

ბოგდანოვკა

სოფლის განვითარების პროგრამით:

მოხდა სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით:

სკოლის უბანში მოეწყო წყალამრიდი სადრენაჟე არხის სისტემა;

გაიწმინდა ე.წ. "ზებერი არხი", აღდგა სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა.

შიბლიანი

სოფლის განვითარების პროგრამით განხორციელდა სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდით:

აღდგა შიდა სასოფლო გზა, კეთილმოეწყო სოფელზე ჩამავალი ხევის კალაპოტი. მოეწყო „კვირაცხოვლის" ხევზე დამცავი გოდოლყურე, აღდგა სოფელში მისასვლელი სტიქიისგან დაზიანებული გზა და ხიდი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობას.

იორმუღანლოს თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

იორმუღანლოსა და ქეშალოში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილები და რეზერვუარები.

დუზაგრამის თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

შეძენილი და დამონტაჟებული იქნა სასმელი წყლის ჭაბურღილის რეზერვუარი, სოფელ წიწმატიანში შემოიღობა დასასვენებელი პარკი.

ლამბალოს თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

ზემო და ქვემო ლამბალოში მოეწყო

დასასრული მე-3 გვერდზე

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488

გია ჩალათაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„ძველი წელი – წარსულს, ახალი წელი – ახალი საზრუნავით“

დასასრული

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი შიბლიანელებთან შეხვედრაზე

სასმელი წყლის ჭაბურღილები, სოფ. ლამბალოსთვის შეძენილი იქნა და დამონტაჟდა ჭაბურღილის რეზერვუარი.

თულარის თემი

სოფლის განვითარების პროგრამით:

თულარში მოეწყო ჭაბურღილი, დამონტაჟდა სასმელი წყლის რეზერვუარი; შეძენილ იქნა ტრაქტორ-ექსკავატორი სოფ. კაზლარისთვის.

უდაბნო

სოფლის განვითარების პროგრამით:

განხორციელდა შიდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია. ასევე, მოწესრიგდა სოფლის საკანალიზაციო სისტემა.

ადგილობრივი ბიუჯეტდან:

შეკეთდა სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენი.

– ბატონო გია, თქვენ ისაუბრეთ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე, იმ შესრულებულ საქმეებზე, რომელთა დაწყება-დამთავრებას, რომ იტყვიან, მოსახლეობა ოცნებობდა. ეს იყო სასმელი წყლის სისტემები, გზები და ა.შ. და ა.შ. მაგრამ, თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რა იყო 2011 წელს, უბრალოდ რომ ვთქვათ, რა დაგამახსოვრდებათ 2011 წლიდან?

– არა მგონია დამავიწყდეს 2011 წლის თითოეული დღე. და იცით, რატომ? ყოველთვის დატვირთული იყო ემოციებით, ყოველთვის მობილიზებული ვიყავი – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთბაშად და ერთნაირად გვარდებოდა ის

კაწარეთის სამება

პრობლემები, თქვენი თქმისა არ იყოს, მოსახლეობა წლების მანძილზე რომ ოცნებობდა. მათ ხომ ამ პრობლემებით ხელი ეშლებოდათ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, ფუჭად ხარჯავდნენ დროს და ენერგიას. განა ეს ასე არ არის?! ავიღოთ უწყლოობა და უგზოობა. ახლა, ამაზე ფიქრიც აღარ არის საჭირო. მაგრამ იყო საშინელი დღეებიც – წყალდიდობით, სტიქიისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის ნახვა, მაგრამ იმედიც და რწმენაც ხომ იყო – იმავე დღეებში მთავრობა განიხილავდა სტიქიით მიყენებულ ზარალს და სწორედ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით მოხერხდა თითქმის ყველა იმ დაზიანების აღდგენა, რაც სტიქიის შედეგად გაჩნდა. არ შემიძლია, არ ვთქვა ის, რომ სოფელ შიბლიანში ხიდი წყალდიდობამ საერთოდ წაიღო. ეს ხიდი ერთთაღიანი იყო. ახლახანს, დეკემბერში ჩვენ გავხსენით ხიდი, რომელიც წინა ხიდთან შედარებით დიდიც არის, ლამაზიც და თან სამთაღიანი, ასე, რომ გაუძლებს ბუნებრივ კატაკლიზმებსაც და ყველანაირ ტრანსპორტსაც.

დასამახსოვრებელია ის დღეებიც, როცა ჩვენს მუნიციპალიტეტს ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე სტუმრობდა. მან ზაფხულში სტუმრობისას დაათვალიერა მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, შემოდგომით კი შეხვდა აქაურ გლეხკაცობას, გამოიკითხა რთვლის მიმდინარეობა. მუნიციპალიტეტს ასევე ხშირად სტუმრობდნენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრები, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში. 10 დეკემბერს კი საგარეჯოში თავად საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა 25 ადგილიანი საავადმყოფო, რომელიც თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი და სწორედ ჯანდაცვის ჰოსპიტალური განვითარების პროექტის „100 ახალი საავადმყოფოს“ ფარგლებშია.

კარგად დამთავრდა „რთველი–2011-იც“. სრულ სიმართლეს გეუბნებით, რომ არც ერთი გლეხი არ დარჩა სახელმწიფო სუბსიდიებით უკმაყოფილო, არც ერთი მტევანი არ დარჩენია გლეხს ისე, როგორც ადრე, ტონობით რომ რჩებოდა ვენახში მაშინ, როცა არც ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელი ქარხნები მუშაობდნენ და ვერც ბაზარზე ახდენდა რეალიზაციას გლეხი.

სოფელ თოხლიაურში სექტემბერში იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასსრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების გრანტის“ ფარგლებში სამაცივრე მეურნეობა გაიხსნა. წარმოიდგინეთ, სამაცივრე მეურნეობა როგორ შეუწობს ხელს აქაურ და სხვა სოფლების გლეხებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვასა და დაფასოებაში. განა ეს დასამახსოვრებელი არ იქნება?! თანაც რამდენი ადამიანი დასაქმდა.

სექტემბერშივე ყველა პირველკლასელმა და მათმა მასწავლებლებმა უფასოდ, საჩუქრად მიიღეს ნეტბუქები.

წელს უფრო კარგად გამოიკვეთა ნიჭიერი ახალგაზრდობა, ეს ხომ საამაყოა, სიხარულთან ერთად.

წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა სპორტსმენებმა.

საინტერესო იყო კულტურის სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.

საინტერესოა აღმოჩენები ყორუღში, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს გვპირდება.

საგარეჯოში გაიხსნა კერძო სამედიცინო მომსახურების ცენტრი „**LIFE**“.

მაგრამ, ჩემთვის, როგორც პროფესიით ექიმისათვის ერთობ სასიხარულო იყო ის დღე, თუ გაჭირვებულ ადამიანს სამედიცინო გამოკვლევებისა და ოპერაციებისთვის საჭირო თანხით თუ არა, ნაწილობრივ მაინც გავუმართავდით ხელს. იმ დღეს თითქოს ვალმოხდილი ამოვისუნთქებდი და ვგრძნობდი, რომ მეც ბედნიერი და გახარებული ვიყავი იმ ადამიანთან ერთად, სულის საოცარ ტკივილს ვგრძნობ მაშინ, როცა ადამიანს ვერ ვეხმარები.

– ბატონო გია, საინტერესოა 2012 წლის გეგმები. ამდენად, სამომავლო საქმიანობიდან რა იკვეთება პრიორიტეტულ საკითხებად?

– თუ 2011 წელს მოხერხდა სოფლის, ქალაქის მთავარი ქუჩების, გზების რეაბილიტაცია, ახალი წლიდან უკვე სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია. და ეს მოხერხდება: გომბორში, რუსიანში, ვერონაში, ვაშლიანში, ასკილაურში, პალდოში, მუხროვანში, იკვლივ-გორანაში, ზემო ბურდიანში, პატარა ჩაილურსა და ზემო ლამბალოში. ასევე, ჩატარდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია: ოთარაანთკარში, სასადილოში, გორანაში, კრასნოგორკაში, ზემო ბურდიანში.

ყორუღის აღმოჩენა

სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილები მოეწყობა სოფ. იორმუღანლოში, ქვემო ლამბალოსა და თულარში.

უჯარმის, ხაშმის, პატარძეულის, ნინოწმინდის, წყاროსთავის, გიორგიწმინდის, მანავის, დიდი ჩაილურისა და ბოგდანოვკის საბავშვო ბაღებს ჩაუტარდება რემონტი.

მინი სპორტული მოედნები მოეწყობა ანთოკში, მარიამჯვარსა და შიბლიანში.

თოხლიაურში შემოიღობება სასაფლაო.

უდაბნოში განხორციელდება საბანკეტო დარბაზის რეაბილიტაცია.

შესაძენია სპეცტექნიკა, რომელშიც იგულისხმება ბულდოზერები, ექსკავატორი და ავტოთვითმცლელი კაკაბეთის, ყანდაურის, წიწმატიანის, ბადიაურის და კაზლარისათვის.

ყოველივე ამასთან ერთად, ჩემი, პირადი სურვილია, ქალაქ საგარეჯოს ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გალამაზება, იმ დაწყებული სამუშაოების წარმატებით გაგრძელება, რომელიც 2011 წელს დაიწყო – ქუჩების, ტროტუარების კეთილმოწყობა.

2012 წელს კვლავ გავაგრძელებთ ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამინისტროსთან თანამშრომლობას და იმ ინფრასტრუქტურების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებას. საინტერსო პროექტებია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის საბოლოდ მოწესრიგებასა და იმ სტანდარტებამდე დაყვანაზე, რომელიც უცხოელ ტურისტს ევროსტანდარტების შესაბამისად მოემსახურება. ეს ბევრს ნიშნავს ჩვენთვის.

2011 წელს დაიწყო წმინდა სამების სამონასტრო (ხაშმი-კაწარეთი) კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები და 2012 წელსაც გავაგრძელებთ. რაც მთავარია, აქ სამონასტრო ცხოვრება აღდგა, რაშიც დიდი წვლილი საგარეჯო-ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსს ლუკას (ლომიძე) მიუძღვის. შეუძლებელია ასეთი საქმეების საკეთებლად მხარში არ დაუდგე მას, ამიტომაც მხარი პირველმა ჩვენი მხარის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა დაგვიჭირა – გაკეთდა ბევრი რამ იქ, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია.

– როგორ მიულოცავდით და რას უსურვებდით ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ბატონო გია?

– ყველას ვულოცავ დამდეგ, ახალ, 2012 წელს. ყველას ჰქონდეს ის სიმდიდრე, რასაც ჯანმრთელობა ჰქვია. ყველას, თითოეულ მათგანს ჰქონდეს სურვილი, შესაძლებლობა შრომა-გარჯისა, ყველას ვუსურვებ, ჰქონდეს რწმენა ხვალინდელი დღისა და მისწრაფება – გაუფრთხილდეს ყველაფერს ტრადიციულს, ქართულს და ლამაზს. მრავალ ახალ წელს, ძვირფასო გარეჯელებო.

– გმადლობთ, ბატონო გია და ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. ჯანმრთელობა, სიკეთე, ღვთის წყალობა და შემწეობა, გამძლეობა და ამტანობა თქვენ და ყველა მას, ვინც გვერდში გიდგათ სასიკეთო საქმეების კეთებაში. ბედნიერება და სიხარული თქვენ და თქვენი ოჯახის ულამაზეს ადამიანებს.

ესაუბრა:

თინა ილაური

2011-2012 წლების მიჯნაზე

კითხვა: 1. რით იყო მნიშვნელოვანი 2011 წელი თქვენთვის?
კითხვა : 2. რას უსურვებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 2012 წლის კარიბჭესთან?

ილია ჭიაურელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

2011 წელი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. ვინც თვალყურს ადევნებდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფართო პლანით გაშლილ მშენებლობას და სარეაბილიტაციო სამუშაოებს, დამერწმუნებით, მართლაც რომ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. წარმატებით განხორციელდა რეგიონული პროექტების, სოფლის განვითარების ფონდებისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები. პრობლემათა სიიდან ამოიშალა ისეთი საკითხები, როგორიცაა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება, სოფლამდე ცენტრალური მაგისტრალიდან მისასვლელი გზები. ამასთან დიდი ოპერატიულობით მოხდა წყალდიდობის დროს მოყენებული ზიანის განხილვა სახელმწიფოს მიერ და შესაბამისად გამოყოფილი თანხებით წყალდიდობით დაზარალებული ინფრასტრუქტურის აღდგენა. წლების განმავლობაში სოფელ ბოგდანოვკისთვის მართლაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა და ამასთან აუტანელს ხდიდა აქაური მოსახლეობის სახლების, საკარმიდამო ნაკვეთების დაჭაობებული მდგომარეობა, ამოცვლას საჭიროებდა სასმელი წყლის მაგისტრალის გარკვეული ნაწილიც, ახლა ეს საკითხები უკვე მოგვარდა. მთელ რიგ სოფლებში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები იმდენად იყო დაზიანებული, რომ ალბათ სასმელი წყლის დაბინძურების საშიშროებაც მალე შეგვექმნებოდა. ბოლომდე ამოქმედდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, თუ ადრე ვინმე სკეპტიკურად უყურებდა ამ პროექტს, ყველა მიხვდა, რომ თითოეულმა მოსახლემ, სოფლის თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა სოფლისთვის პრიორიტეტული საკითხების წამოსაწევად და ასევე, აქტიურობა გამოიჩინოს განხორციელებული პროექტის ხარისხის შემოწმებისას. ეს წელიწადი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ დამთავრდა მიწების პრივატიზაციის რთული პერიოდი, რომელმაც არაერთი უზუსტობა, გაურკვევლობა გამოააშკარავა, მაგრამ საბოლოოდ დახვეწილი სახე და ფორმა მიეცა ყველაფერს. მართალია, ზოგიერთს მხედველობიდან გამორჩა დეკლარაციის შევსება, რომელიც მაისამდე იყო ნებადართული, რის გამოც გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულ იქნა ასეთი შემთხვევები და მათ ნება დაერთოთ შესაბამის სამსახურებს მიმართონ, რომელთა დახმარებითაც შექმნილი სიტუაციიდან გამოვლენ.

ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობაზე გაიცა სურსათისა და ელექტროენერგიის ვაუჩერი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება. განსაკუთრებით კმაყოფილია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, თუ მძიმე ოპერაციებისთვის, ან მძიმე დაავადების სამკურნალოდ გარკვეული თანხით ეხმარება მოქალაქეს.

რას ვუსურვებდი ჩვენს ხალხს? უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობას, რადგან ბრძენის ნათქვამია: „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია“-ო. ქვეყნის მოქალაქეთა სულისა და ჯანის სიმრთელე კი ისევ ქვეყანას სასიკეთო საქმეების საკეთებლად წაადგება.

გილოცავთ ახალ წელს, ჩემო საგარეჯოელებო, მთისა და ბარის სოფლების მცხოვრებნო! ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2012 წელი ყველა თქვენთაგანისათვის!

ზაზა გულიკაშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან:

ის, რაც 2011 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში გაკეთდა, ვრცლად ისაუბრეს ბატონმა გიამ და ბატონმა ილიამ. აღნიშნეს, რომ გაკეთდა ბევრი რამ, მაგრამ, როცა საქმეს აკეთებ და თანაც გულიანად, თანდათანობით ჩნდება ახალ-ახალი გასაკეთებელიც. ჩვენ სისტემატიურად, კვირაში ერთი დღე ვხვდებით ერთმანეთს და ვსაუბრობთ იმ საკითხებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, მოსახლეობის სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს. მიხარია ბატონ გიასთან და ბატონ ილიასთან შეხვედრა. ყოველთვის დახვეწილია მიზანი, მისი შესრულების გზები. აქვე მინდა გითხრათ, რომ ბევრი პროექტი, რაც საგარეჯოში 2011 წელს კი არა, წინა წლებშიც განხორციელდა, ეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გია ჩალათაშვილის დიდი ინიციატივითა და ძალისხმევით მოხდა. მას შეუძლია ყველას დაუსაბუთოს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტისატვის პრიორიტეტული სწორედ კონკრეტული საკითხია და აუცილებელია მისი განხორციელება. ამიტომაც იყო, რომ ერთ დიდ სამშენებლო პოლიგონად იყო ქცეული ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორია. სწორედ ამ მშენებლობების სანახავად გვესტუმრა პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი დავით ბაქრაძე, რომელმაც აღმშენებლობის კუთხით კვლავაც მხარდაჭერა აღუთქვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

ორგანიზებულად ჩატარდა მუნიციპალიტეტში „რთველი– 2011“, რომლის მიმდინარეობას თვალყურს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, თავად კახეთის რწმუნებული ბ-ნი გიორგი ღვინიაშვილი და სოფლის მეურნეობის მინისტრი აქტიურად ადევნებდნენ, შეხვდნენ აქაურ მევენახეებსაც, ესაუბრნენ. პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი დავით ბაქრაძე რამდენიმე პარლამენტარის ოჯახის წევრებთან ერთად სტუმრობდა საგარეჯოს. მე როგორც ვიცი, სახელმწიფოს მიერ ყურძენზე გამოყოფილი სუბსიდიით არც ერთი გლეხი არ დარჩენილა უკმაყოფილო.

საახალწლო სურვილები ბევრი შეიძლება ჰქონდეს კაცს, მითუმეტეს თავისი მშობლიური მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება ყველას, ყველას ოჯახს. მშვიდობიანი წელი მოსვლოდეს სრულიად საქართველოს და ჩემს საგარეჯოელებს.

ᲥᲕᲘᲠᲨᲐᲡᲝ ᲒᲐᲠᲔᲯᲔᲚᲔᲑᲝ!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთა სახელით სულით და გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ყველა ტკივილი და წინააღმდეგობა ძველ წელს წაეღოს, ახალს ჯანმრთელობა, ბედნიერება, სულის სიმხნევე, საქართველოს გაერთიანება-გამთლიანება მოეტანოს. მოშუშებოდეს ქართულ მიწას მტარვალთა მიერ მოყენებული ჭრილობები, კიდევაც დაზრდილიყვნენ „ალგეთს ლეკვები მგლისანი,“ მგლის მუსლი და არწივის თვალის სიფხიზლე, შეუპოვრობა საქართველოს საზღვარზე მყოფ ჩვენს მესაზღვრეებს, საქართველოს დამცველებს, მშვიდობას, სიკეთეს, კაცთმოყვარეობას ეზეიმოს სრულიად საქართველოში. მალე გაბრწყინებული გვენახოს ჭირთამთმენი საქართველო!

ᲕᲐᲟᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ უჯარმიდან.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ!

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! ჯანმრთელობა, სიკეთე, ხვავი და ბარაქა ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს!

განვლილი შვიდი თვის განმავლობაში ვგრძნობდით თქვენს აქტიურ მხარდაჭერას, რაზედაც გიხდით უღრმეს მადლობას!

ახალი წლიდანაც თქვენი მხარში დგომის იმედი გვაქვს და ჩვენც გპირდებით – უფრო საინტერესო და კითხვადი გავხადოთ ჩვენი გაზეთი.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ: ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

გვილოცავს გრანტისანი სტუდენტი

ეს ვაჟკაცი, „გარეჯის მაცნეს“ ამ საახალწლო ნომერში სტუმრად რომ მოვიწვიეთ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი ვახტანგ მესხიშვილი გახლავთ. ერთ-ერთი ჩვენი მუნიციპალიტეტის იმ სტუდენტთაგანი, ვინც წარმატებით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები და ასპროცენტიანი გრანტი მოიპოვა. ამქვეყნად, ასეთი რამ, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია. თავისი ნიჭი და სხვა კარგი თვისებები ვახტანგმა ჯერ კიდევ საგარეჯოს მესამე საბავშვო ბაღში ყოფნისას გამოამჟღავნა, რისთვისაც მის შესახებ მაშინდელი რაიონული გაზეთის ფურცლებზეც დაიწერა. შემდგომ იყო საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის კედლებში გატარებული, ცოდნის დაუფლების და გაღრმავების დაუვიწყარი წლები. მართალია, მედლის მოპოვება ვერ შეძლო, სამაგიეროდ, უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე ივაჟკაცა – საგარეჯოს ოთხივე სკოლის აბიტურიენტებიდან ასეთი შედეგი მხოლოდ მას ჰქონდა.

ფინანსები და საბანკო საქმე – ასეთია მომავალი საგარეჯოელი ფინანსისტის ინტერესთა სფერო და სურს სტაჟირებაც ქვეყნის შესაბამის უწყებაში გაიაროს.

– მადლობა საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ სფეროში გატარებული რეფორმებისათვის. მე რომ ეს გრანტი არ მომეპოვებინა, არ ვიცი, შევძლებდი თუ არა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას და ჩემი ოცნებების ასრულებას.ახლა კი ვხედავ, რომ ჩემს მისწრაფებებს ფრთები მალე შეესხმება, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში სტუმარმა.

– რაც შეეხება საგარეჯოსა და საგარეჯოელებს, მე აქაური ვარ და სადაც არ უნდა ვიყო, არასოდეს დავივიწყებ ჩემს მშობლიურ ქალაქს. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა საგარეჯოელს, მთელ ქართველ ხალხთან ერთად მივულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდი ხნის სიცოცხლეს, წარმატებებს, ყველა კეთილი სურვილის ასი პროცენტით გამართლებას.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ყველა მათგანისათვის ეს წელი.

2011 წლის საუკეთესო სპორტსმენები

ეკვე ისტორიის კუთვნილება გახდა მესამე ათასწლეულის დასაწყისის მეთერთმეტე წელი. სხვა ქართველი სპორტსმენების დარად, ეს წელი, ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით გააცილეს.

2011 წელს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში.

საქართველოს სხვადასხვა ასაკისა და სახეობების ნაკრებ გუნდებში შეყვანილია 13 საგარეჯოელი სპორტსმენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ჭაბუკთა ოლიმპიურ თამაშებში.

ჭიდაობა სამბოში ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა **უშანგი კუზანაშვილმა.**

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედალის მფლობელი გახდა **ბექა პეტრიაშვილი.**

ძიუდოში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა **ვანო მამისაშვილმა,** ხოლო ვერცხლის მედალოსანი გახდა **თამაზ კირაკოზაშვილი.** მანვე მესამე ადგილი დაიკავა ჭაბუკთა ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე.

ზემოაღნიშნული სპორტსმენები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოპოვებული წარმატებებისთვის ფულადი თანხითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

წარმატებული დებიუტი ჰქონდა აგრეთვე **დავით ხუციშვილს,** რომელმაც დიდებში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში ვერცხლის მედალი მოიპოვა **ზურაბ ერბოწონაშვილმა.**

ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატზე, 16 დან 18 წლამდე გოგონათა შორის, **ნანი უნაფქოშვილმა** დაიკავა მეორე და მესამე ადგილები. ასევე მონაწილეობა მიიღო 16 წლამდე გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონატში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, რელიგიურ და სახალხო დღესასწაულებზე, ჩატარდა ტურნირები ქართულ ჭიდაობაში, სადაც გამარჯვებული სპორტსმენები მუნიციპალიტეტის გამგეობამ,წახალისების მიზნით, ფულადი პრემიებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

საგარეჯოს ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ქ.თელავში გამართულ რეგიონალური თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა.

საშინაო თუ საერთაშორისო არენებზე მათ მიერ მიღწეული წარმატებების მიხედვით წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასე დალაგდა:

1. დავით ხუციშვილი

ევროპისა და მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, ლონდონის მომავალი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი (თავისუფალი ჭიდაობა).

2. უშანგი კუზანაშვილი – ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი (სამბო);

3. ბექა პეტრიაშვილი – ევროპის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში (თავისუფალი ჭიდაობა);

4. ვანო მამისაშვილი – ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში (ძიუდო);

5. თამაზ კირაკოზაშვილი – ევროპის ვერცხლისა და ევროპის ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაოს პრიზიორი ჭაბუკებში (ძიუდო)

6. დავით სიმონიშვილი – საქართველოს ჩემპიონი (სამბო);

7. ზურა ერბოწონაშვილი – საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი დიდებში (თავისუფალი ჭიდაობა);

8. ნანი უნაფქოშვილი – საქართველოს 18 წლამდელთა ჩემპიონატის III პრიზიორი, 16 წლიანებში II პრიზიორი (ჭადრაკი);

9. ლევან როჭიკაშვილი – საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (თავისუფალი ჭიდაობა);

10. გიორგი პასიკაშვილი – საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (თავისუფალი ჭიდაობა).

ჰეი, ვინ მოდის, მაწია, მომავალ-ოდაო?!

საახალწლოო სურვილები

ლიკუნა

ნიკოლოზი

ლაზი

ანანასი



გვანცა

დათუნა

ნუცა

მარიამი

საახალწლო სურვილები



მრავალ ახალ წელს!

ჰა, მობრძანდა წელიწადი, ორიათას მეთორმეტე,
აგერ მისი მოციქული, გვიკაკუნებს კარზე მეკვლე.
ნაირ-ნაირ საჩუქრებით, ავსებია ხურჯინს თვლები,
შევეგებოთ სავსე გულით, ავსებული სასმისებით!
მეკვლე გვლოცავს: ქართველებო, კმარა, გეყოთ დაღონება,
ღვთის შეწევნით, საქართველო მოკლე ხანში გაბრწყინდება,
მოიშუშებს იარებს და კიდით-კიდე გამთელდება!
მაშ, გააღეთ სახლის კარი, გულის კარი გამოაღეთ,
და უღირსი ყველაფერი ძველ წელიწადს გაატანეთ,
მათ მაგივრად გულში გქონდეთ ერთობა და მეგობრობა,
სიყვარული – აგვიშენებს, დაგვინგრია რაც კი მტრობამ!
თუ შეერთდა საქართველო, თუ ეს შეძლო ქართველობამ,
უფლის მადლი და წყალობა, ამ მიწაზე კვლავ გადმოვა!
ხალხო, ისე ამიშენდით, როგორც „შიოს მარანია“,
იხარეთ და იღორძინეთ, საქართველოს მთა-ბარშია,
დაგეკვებოთ გამრავლება შვილების, ხვავ-ბარაქისა,
ქონების, სარჩო-საბადის, საქონლის, ცხვარ-ბატკანისა,
დღეგრძელობა, მზეგრძელობა, სიმრთელე სულის, ჯანისა,
ათასწილად დაფასება, ნაღვაწისა და ჯაფისა.
გაშოროთ მტერი, მოშურნე, გიმრავლოთ წინსვლა-შენება,
მშვიდობა და მეგობრობა, მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან.
ქართველთა ქება ისმოდეს, სუყველგან, იმერ-ამიერ,
დაგლოცავთ და გადღეგრძელებთ, იხარეთ, მრავალჟამიერ!

გ. დაბახიშვილი

ახალ წელს გილოცავთ 100 წლის ბერიკაცი:

ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სიცოცხლეა. მაგრამ სიცოცხლე არად ღირს, თუ სამშობლოსცა არ გახურავს თავზე და მშობლიური მიწის სითბოს არ გრძნობ ფეხქვეშ. სამშობლო დამოუკიდებელი, აყვავებული, თავისუფალი უნდა იყოს. არავის არ უნდა უჭირდეს. ხალხი თბილი და მოსიყვარულე უნდა იყოს. სწორედ ასეთი მინდა იყოს ჩემი საქართველო, ჩემი ქართველი ხალხი – დამოუკიდებელი, ლაღი, თბილი.

2012 წლის 4 იანვარს 100 წლის ვხდები. ცოტა არ არის 100 წელი, ერთი საუკუნე. რამდენჯერ მოვესწარი მზის ამოსვლა-ჩასვლას, ზამთარ-ზაფხულს, ვაზის ტირილს. მიყვარდა და მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი პატარა, ლამაზი სოფელი, დიდი ჩაილური. თქვენც მიყვარხართ, ჩემო საგარეჯოელებო, საგარეჯოს რაიონში შემავალი ყველა სოფლის მცხოვრებლებო! გილოცავთ ახალ წელს, მშვიდობა, საქართველოს გამთლიანება, ხვავი და ბარაქა თითოეულ თქვენს ოჯახს და სრულიად საქართველოს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან, განუყოფელ საქართველოს!

გოგი ქევხიშვილი,
სოფ. დიდი ჩაილური

ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო გარეჯელებო!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის 2012!

გისურვებთ ჯანმრთელობას, სულმთელობას, სიხარულსა და სიყვარულს, ხვავსა და ბარაქას! გილოცავთ ქართულ ჯიშსა და გენს, რომელსაც გადაშენება არ უწერია! დაგილოცავთ ნიჭს, რომელიც თითოეულ თქვენგანშია და გამობრწყინება სჭირდება მხოლოდ. დაგილოცავთ იმ მადლიან საქმეებს, რომლებიც ძალდაუტანებლად გიკეთებიათ უფლისა და სამშობლოსათვის!

ღმერთს ვთხოვ, მალე გვეცხოვროს ისეთ საქართველოში, სადაც არ იქნება მიტოვებული ბავშვი, მოხუცთა თავშესაფარი, უმიზეზოდ დასჯილი ადამიანი და აღზევებული მედროვე. მალე გვეცხოვროს ისეთ საქართველოში, სადაც იქნება ბევრი, ბევრი გაღიმებული სახე, გაცისკროვნებული თვალები და გახსნილი შუბლი.

საახალწლოდ დაგბედებოდეთ: ლამაზი სუფრა და სტუმრიანობა, კარგი განწყობა, იმედი და გამთლიანებული საქართველო – ერი და ბერი! რა საჭიროა, ვიყოთ ქვევრები! ვიყოთ ჭინჭილა, მაგრამ ისეთი, თავის დროზე გულბაათ ჭავჭავაძე რომ წააქცია!

სიყვარულით და კეთილი გულით –

პედაგოგი მარინა გულისაშვილი

ახალ წელს გილოცავთ

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი

გაზეთი „გარეჯის მაცნე“ სულ შვიდიოდე თვისაა, მაგრამ კაკაბელი გულო კვერნაძე მისი ყოველი ნომრის გამოსვლას დიდი ინტერესით ელოდება. დეკემბერში ქ-ნ გულოს 85 წელი შეუსრულდა. საოცრად ამაგდარი, მშრომელი, გამრჯე ადამიანია იგი დღესაც. მისი ამაგდარობა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან დაიწყო, როცა მამამისი არტაშა ოსკანოვი დიდ სამამულო ომში წაიყვანეს, დედა კოლმეურნეობაში გავიდა სამუშაოდ და 12 წლის გოგონა ორ ძმას და ორ დას უვლიდა. აქედან ყველაზე პატარა– ერთი თვის იყო. მამა ომიდან ინვალიდი დაბრუნდა. გულომ კი თბილისში, პროფსასწავლებლის დამთავრების შემდეგ, პურის ქარხანაში დაიწყო მუშაობა და იქვე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლეც. სხვადასხვა დროს ქ-ნი გულო მუშაობდა საბავსვო ბაღში მასწავლებლად, შემდეგ საწარმოებში. 1989 წლიდან კი მშობლიურ კაკაბეთს მიაშურა მეუღლესთან ერთად ინვალიდი მამის მოსავლელად...

ახლა ქ-ნი გულო მარტო ცხოვრობს კაკაბეთში, მაგრამ ყურადღება არ აკლია შვილებიდან, ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი, ივნისში სამი ტყუპი შვილთაშვილიც შეეძინა – გიორგი, ვერიკო და ანასტასია.

გულო კვერნაძე გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ მკითხველთაგან უხუცესი მკითხველია და ამასთან ინტერესიანიც. პირველ რიგში დამდეგ ახალ წელს გილოცავთ გაზეთის რედაქციის თანამშრომლებს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას, რაიონის ხელმძღვანელობას და საქართველოს გამთლიანებას, გაბრწყინებას, ბედნიერ მომავალს უსურვებს ყველას, ყველას, ყველას.

– კიდევ და კიდევ თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვიქნებიო, – შემოგითვალათ ქ-ნმა გულომ გაზეთის თანამშრომლებს.

სონიკო ბაღდადაშვილი,
სოფ. კაკაბეთი

სადღეგრძელო

თითოეულ ოჯახს ვუსურვებ:
მიწას – სახვნელად,
ამბავს – სასიკეთოს,
ხარს – ქედძლიერს,
ხეს – ნაყოფიერს,
წვიმას – კოკისპირულს,
მზეს – ცხრათვალას,
ქალიშვილს – ლამაზს,
ვაჟიშვილს – ძალოვანს,
ყვავილს – სურნელოვანს,
მეგობარს – ერთგულს.
და თქვენს სახლში ყოველთვის დაფასებულიყოს ჭაღარა და სიბრძნე მოხუცისა.

* * *

გაუმარჯოს დედამიწას!
დედამიწის მადლს!
დედამიწის ბარაქას,
ცის ნამს,
კაცის მარჯვენას...
ხარის ქედს,
ქვევრში ღვინოს,
სველ ხელადას,
ვაზის მრუდე ძირს,
მარილის მადანს,
წყლის სათავეს,
მზის სინათლეს,
მთვარის შუქს,
ვარსკვლავების ციმციმს,
მტრედის მირონს,
კაცის ულვაშს,
ქალის მანდილს,
ხის ფესვებს,
ხის კენწეროს,
წყალში თევზს,
ტყეში ნადირს,
ცაში ფრინველს,
გუთანს გაუმარჯოს,
გუთნის დედას,
გუთნის ხარ-კამეჩს,
უღელს, ტაბიკს, აპეურს,
ჯამბარას, საყევარს,
სახნის-საკვეთელს,
ღირღიტას და
გუთნის ჩეკს,
წინა და უკანა მეხრეს,
წისქვილს გაუმარჯოს,
წყლის ძალას,
წისქვილის ღარს,
ხორბალს, დოლაბს,
ხვიმირას, სარეკელას,
მესაფქვავესა და
მეწისქვილეს,
გაუმარჯოს მამლის
ყივილს,
ფეხმძიმე ქალს,
ქართულ იავნანას,
ქართულ აკვანს,
მწყემსის ფარას,
ცხენის მუხლს,
ძაღლის სმენას,
მგლის ყმუილს,
იმ ძალას გაუმარჯოს,
რითაც ქვეყანა შენდება
და მშვენდება –
ქალის და კაცის
სიყვარულს და
შეუღლებას
გაუმარჯოს!

ვანო მეკოკიშვილი

კალენდარი

საეკლესიო დღესასწაულები



15 აპრილი – ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი;



7 იანვარი – ხორციელად შობა იესო ქრისტესი;

19 იანვარი – ნათლისღება;

15 თებერვალი – მირქმა;

7 აპრილი – ხარება;

ოჯახის მფარველი ხატი

საეკლესიო დღესასწაულები

28 აგვისტო – მარიამობა (ღვთისმშობლის მიძინება);

21 სექტემბერი – ღვთისმშობლის შობა;

27 სექტემბერი – ჯვართამაღლება;



4 დეკემბერი – ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

2012

	იანვარი					თებერვალი					მარტი					აპრილი				
ორშ.	2	9	16	23	30	6	13	20	27		5	12	19	26		2	9	16	23	30
სამშ	3	10	17	24	31	7	14	21	28		6	13	20	27		3	10	17	24	
ოთხ	4	11	18	25		1	8	15	22	29	7	14	21	28		4	11	18	25	
ხუთ	5	12	19	26		2	9	16	23		1	8	15	22	29	5	12	19	26	
პარ	6	13	20	27		3	10	17	24		2	9	16	23	30	6	13	20	27	
შაბ	7	14	21	28		4	11	18	25		3	10	17	24	31	7	14	21	28	
კვ	1	8	15	22	29	5	12	19	26		4	11	18	25		1	8	15	22	29

	მაისი					ივნისი					ივლისი					აგვისტო				
ორშ.		7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30		6	13	20	27
სამშ	1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31		7	14	21	28
ოთხ	2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22	29
ხუთ	3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23	30
პარ	4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27		3	10	17	24	31
შაბ	5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28		4	11	18	25	
კვ	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29		5	12	19	26	

	სექტემბერი					ოქტომბერი					ნოემბერი					დეკემბერი				
ორშ.		6	13	20	27		3	10	17	24	1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31
სამშ		7	14	21	28		4	11	18	25	2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25	
ოთხ		1	8	15	22	29	5	12	19	26	3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26	
ხუთ		2	9	16	23	30	6	13	20	27	4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27	
პარ		3	10	17	24	31	7	14	21	28	5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28	
შაბ	1	8	15	22	29		1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29
კვ	2	9	16	23	30		2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30